აჭარის წყლის ალიანსი

N 153
10/10/2022

153-01-2-202210101250

https://edocument.ge/AdjaraGov/public

**ქედის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ როლანდ ბერიძეს**

**თემა: დაბა ქედაში დაგეგმილი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის დარეზერვება და დაცვა**

**ბატონო როლანდ**

როგორც იცით, რომ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) ხორციელდება დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა აჭარაში, რომელიც ეხება აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

ქედის მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 12 ივლისის #21/3362 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 12 ივლისის „ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში სს „აჭარის წყლის ალიანსის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოუპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" #196/ს ბრძანებისა და #35 სკოუპინგის დასკვნის მოთხოვნების საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა წარედგინოს **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობისთვის **ქედის მუნიციპალიტეტის** დაბის არეალისთვის.

გარდა ამისა, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიმართ 2022 წლის 15 ივნისის #94-942216669 წერილით მოთხოვნილი იყო პროექტის განხორციელების ადგილად ნაცვლად დაბა ქედაში მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე არსებული 8,318 კვ. მეტრი ფართის მქონე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ნაწილისა (ს/კ 21.03.33.494) განხილულიყო ალტერნატიული წინადადება, კერძოდ კი მის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 3,713 კვ. მეტრი ფართის მქონე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.33.433).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მოთხოვნის შესაბამისად **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან

www.awa.ge

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა N1, ოფისი N4-7, ტელ: (0422) 278686
k.Gamsakhurdia St N1, Office N4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686
Info@awa.ge www.awa.ge

შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია და ასევე გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რადგან საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ამიტომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტი თანახმაა პროექტით განსაზღვრულ (და არა ალტერნატიული წინადადებით არსებულ ტერიტორიაზე) ნაკვეთზე მოხდეს გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ასევე რომ უზრუნველყობთ, მიიღოთ ყველა საჭირო ზომა აღნიშნულ ტერიტორიებზე ნაკვეთების დარეზერვებისა და დაცულობის მიზნით, რათა არ შეიზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა.

*დანართები:*

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 12 ივლისის #21/3362 წერილი;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 12 ივლისის „ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოუპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ #196/ს ბრძანება;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს #35 სკოუპინგის დასკვნა;
4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიმართ 2022 წლის 15 ივნისის #94-942216669 წერილი;
5. ქედის მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის შეიფ-ფაილების ელექტრონული ვერსია.

**პატივისცემით,**

თეიმურაზ ბედინაძე

დირექტორი